

შეტყობინება მეშვიდე

**ნეემია – ნიმუში ადამიანისა, რომელსაც აქვს მოწყობითი ფასეულობა დმერთისათვის
ადგილები წერილიდან:** გამოცხ. 12:1-14; ნეემ. 1:1-11; 2:9-20; 4:4-5, 9; 5:10, 14-19; 8:1-10; 13:14, 29-31

I. დმერთის სურვილია, დაასრულოს ეს საუკუნე და მოიყვანოს სამეფოს საუკუნე;
**იმისათვის, რომ განახორციელოს ეს, დმერთმა უნდა მიიღოს თავისი მოწყობითი
იარაღი:**

- ა. ჩვენ ყველამ უნდა ვუყუროთ უფალს და ვილოცოთ, რომ გვერდებს მოწყობითი
ფასეულობა დმერთისათვის; ჩვენ უნდა ვკითხოთ ჩვენ თავს, რას ვაკეთებთ
იმისათვის, რომ დავასრულოთ ეს მოწყობა და მოვიყვანოთ შემდეგი საუკუნე,
მეფობის საუკუნე; ეს არის განსაკუთრებული დრო, ამიტომ აუცილებელია, რომ
განსაკუთრებულმა მორწმუნებებმა შეასრულონ განსაკუთრებული სამუშაო.
- ბ. მათ, ვისაც შეუძლიათ თქვან მხოლოდ „წადით“, და არ შეუძლიათ თქვან:
„მოდით“, ვერ მოიგანენ სარგებელს, ანუ მათ არ ექნებათ მოწყობითი ფასეულობა
დმერთისათვის – შდრ. ებრ. 10:22:
1. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორმა უთხრა მორწმუნებებს, რომ წინ კი არ
წასულიყვნენ, არამედ მიახლებოდნენ; ეს ნიშნავს, რომ ავტორი იმყოფებოდა
გარკვეულ ადგილას და უნდოდა, რომ მისი მკითხველები მიახლებოდნენ
იმავე ადგილს, სადაც ის იმყოფებოდა.
 2. ჩვენ უნდა მივეახლოთ სამ რამეს: წმიდათა წმიდას, მადლის ტახტსა და
თვით დმერთს; ნე დაიხევთ უკან – მიეახლეთ – მუხ. 22; 4:16; 7:25; 11:6.
 3. დმერთი იმყოფება მადლის ტახტზე, ხოლო მადლის ტახტი – წმიდათა
წმიდაში; ებრაელთა მიმართ წერილის დაწერის დროს ავტორი იმყოფებოდა
წმიდათა წმიდაში, და მოუხმობდა ებრაელ მორწმუნებებს, რომ
მიახლებოდნენ.
- ბ. ვაჟის ატაცება ზეცაში, სატანის ჩამოგდება დედამიწაზე და უწყება ზეცაში იმის
შესახებ, რომ მოვიდა სამეფო, აღნიშნავს, რომ დმერთის მიერ ვაჟის მოპოვება
არის დმერთის უდიდესი მოწყობითი მოძრაობა, რადგან ის ასრულებს ეკლესიის
საუკუნეს და მოჰყავს სამეფოს საუკუნე – გამოცხ. 12:5, 9-10; 11:15.
- დ. ძე ვაჟის ატაცება დმერთის ტახტთან მოხდება ათას ორას სამოც დღემდე, ანუ
დიდი მწუხარების დაღომამდე, რომელიც გაგრძელდება სამწელიწად-ნახევარი
(ორმოცდაორი თვე) – 12:1-14; 13:5; 11:2.
- ე. რა პატივია – ვიცხოვოთ ამ დროს, როდესაც ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ
ყველაზე დიდი სამუშაო დმერთისათვის; დმერთი, როგორც სინათლე, გვიჩვენებს
გზას, ხოლო ჩვენში მყოფი ქრისტე, როგორც ჩვენი სიმაგრე და ძალა, ნებას
მოგვცემს, რომ ვიაროთ ამ გზაზე; იმისათვის, რომ აღმოვჩნდეთ სასარგებლონი
დღეს, ჩვენ უნდა გადავიხადოთ დიდი საფასური – 3:18.
- II. ვინაიდან ეკლესიამ ვერ აღასრულა დმერთის განზრახვა, დმერთი ამოირჩევს
გამარჯვებულების ჯგუფს, რომლებიც აღასრულებენ მის ჩანაფიქრს და შეასრულებენ
მის მოთხოვნას; ეს არის ვაჟის პრინციპი – 12:1-2, 5, 10-11; 2:7, 11, 17, 26-28; 3:5, 12, 20-21:
- ა. სამყაროსეული ნათელი დედაკაცი განასახიერებს დმერთის მთელ ხალხს, და
საბოლოოდ დედაკაცის თესლი დაბ. 3:15-ში გაფართოვდება და მოიცავს თავის
თავში გამარჯვებულ მორწმუნებებს, დმერთის ხალხის უფრო ძლიერ ნაწილს; მათ
აღნიშნავს ვაჟი – 12:1-2, 5, 10-11.

- ბ. ოღმდგარი ქრისტე, როგორც მაცოცხლებელი სული, არის დედაკაცის გარდასახული შთამომავალი, დედაკაცის თესლი, დარიგებული ჩვენში, რათა გაუჭებყოს თავი გველს ჩვენში და გაგვხადოს ჩვენ დედაკაცის ერთობლივი თესლი, გამარჯვებული ძე ვაჟი, რომელიც განახორციელებს ღმერთის სასამართლოს ძველ გველზე და იქნება ღმერთის მოწყობითი იარაღი, რათა შეცვალოს საუკუნე და მოიყვანოს ღმერთის სამეფოს გამოვლინება – მუხ. 5.
- გ. ფსალ. 2:8-9, გამოცხ. 2:26-27 და გამოცხ. 12:5-ში ნაჩვენებია, რომ უფალი იესო როგორც ღმერთის ცხებული, გამარჯვებულები ეკლესიებში და ვაჟი მართავენ ხალხებს რეინის კვერთხის მეშვეობით; ეს ამტკიცებს, რომ უფალი იესო, გამარჯვებულები და ვაჟი შეადგენენ ერთ მთლიანობას; უფალი, როგორც წინ მიმავალი გამარჯვებული (3:21), არის თავი, ცენტრი, სინამდვილე, სიცოცხლე და ბუნება ვაჟისა, ხოლო ვაჟი – გამარჯვებულები, რომლებიც უფალს მიჰყვებიან, – არის უფლის სხეული.
- დ. უფლის ჯვარზე სიკვდილის წყალობით სატანას, ძველ გველს, მსჯავრი დაედო, და გარეთ განიდევნა (იოანე 12:31; 16:11); ეს სასამართლო და ეს განაჩენი საბოლოოდ განხორციელდება და აღსრულდება გამარჯვებულების, როგორც ვაჟის, დედაკაცის ერთობლივი თესლის, მიერ; ომი, რომელსაც გამარჯვებული მორწმუნები აწარმოებენ სატანის წინააღმდეგ, – არსებითად არის აღსრულება უფლის სასამართლოსი სატანაზე, რათა ის საბოლოოდ იყოს ჩამოგდებული ზეციდან (გამოცხ. 12:7-9).
- ე. ვაჟი შედგება გამარჯვებულებისაგან, რომლებიც გამოდიან ეკლესიის სახელით, იკავებენ მდგომარეობას, რომელიც უნდა დაიკავოს მთელმა ეკლესიამ, და ასრულებენ ეკლესიის სამუშაოს – 2:7ბ, 11ბ, 17ბ, 26-28; 3:5, 12, 21; 12:5, 11:
1. ღმერთის მთელმა ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ღმერთის მარადიულ ჩანაფიქრში, მაგრამ ყველა არ იღებს თავის თავზე მათოვის მიცემულ პასუხისმგებლობას, ამიტომ ღმერთი ირჩევს მათი რიცხვიდან ჯგუფს – დედაკაცისაგან დაბადებულ ვაჟს.
 2. ბიბლიაში ისინი, ვინც სხვებზე ძლიერები არიან ღმერთის ხალხს შორის, განიხილებიან როგორც ერთი ერთობლივი მთლიანობა, რომელიც იბრძვის ღმერთისათვის და მოაქვს ღმერთის სამეფო დედამიწაზე – გამოცხ. 12:5, 10-11.
 3. ღმერთი იყენებს ვაჟს, რათა განახორციელოს თავისი სახლმშენებლობა და ადასრულოს თავისი ჩანაფიქრი – 1 ტიმ. 1:4; 2 ტიმ. 1:9; ეფეს. 1:9, 11; 3:11.
 4. ღმერთს სჭირდება, რომ ვაჟმა გაანადგუროს მისი მტერი და მოიყვანოს მისი სამეფო, რისი წყალობითაც შეიძლება ასრულდეს მისი მარადიული ჩანაფიქრი; უფლის აღდგენა წარმოადგენს დღეს ღმერთის სახლმშენებლობის პრაქტიკულობას, ხოლო ღმერთის სახლმშენებლობა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ვაჟმა – გამოცხ. 12:10.
- ვ. ვაჟის ატაცება – არის მოვლენა, რომლის შედეგადაც სატანას უკვე ადარ რჩება ადგილი ზეცაში; ჩვენ უნდა ვიყოთ ატაცებულნი, რათა დავაქმაყოფილოთ ღმერთის საჭიროება, აღვასრულოთ მისი სასამართლო მის მტერზე – მუხ. 5, 7-10.
- ზ. ისინი, ვინც შეადგენენ ვაჟს, იმარჯვებენ ეშმაკზე (ბრალმდებელზე, ცილისმწამებელზე), ანუ სატანაზე, ღმერთის მოწინააღმდეგზე, კრავის სისხლის მეშვეობით და თავიანთი მოწმობის სიტყვის მეშვეობით, და მათ არ უყვართ თავიანთი მშვინგა-სიცოცხლე თვით სიკვდილამდე – მუხ. 10-11.

თ. გაუის მთელი არსება იულინთება და იმსჯვალება ქრისტეს ელემენტით, რადგან ისინი ყოველდღიურად მტკიცდებიან თავიანთ შინაგან კაცში, რათა ქრისტემ ჩამოვარდნოს თავისი თავი მათ გულებში, ისინი იკვებებიან ქრისტეს აურაცხელი სიმდიდრით, და ისინი იმოსებიან ქრისტეთი, როგორც დმერთის სრული საჭურვლით – ეფეს. 3:16-18, 8; 6:10-11.

III. როდესაც ისრაელი წაყვანილი იყო ტყვეობაში სამოცდაათი წელი, დმერთმა მაინც განახორციელა მოწყობითი მოძრაობა ნეემიას მეშვეობით, რომელიც იყო ნამდვილი გამარჯვებული; ის არის ნიმუში ადამიანისა, რომელსაც პქონდა მოწყობითი ფასეულობა დმერთისათვის – ნეემ. 1:1-11; 2:9-20; 4:4-5, 9; 5:10, 14-19; 8:1-10; 13:14, 29-31:

ა. მნიშვნელოვანი მომენტი ნეემიას წიგნში არის ის, რომ განმეორებითი აშენება ქალაქ იერუსალიმისა მისი კედლით ემსახურებოდა აღდგენის გაგრძელებას დმერთის რჩეულებს შორის მისი მოწმობისათვის, როგორც მისი სახლმშენებლობის განსახორციელებლად, და ინარჩუნებდა და იცავდა დმერთის სახლს ქალაქში:

1. ეს ნიშნავს, რომ დმერთის სახლის, როგორც მისი საცხოვრებლისა და სავანის არსებობისათვის, საჭიროა მისი სამეფოს, როგორც სფეროს, დამყარება, სადაც დაცული იქნება მისი ინტერესები დედამიწაზე მისი მმართველობისათვის, იმ მიზნით, რომ განხორციელდეს მისი სახლმშენებლობა – შდრ. რომ. 14:17.
2. დმერთის სახლის ხელმეორედ აშენება არის დმერთის მიერ დეგრადირებული ეკლესის აღდგენის წინასახე, ხოლო ქალაქ იერუსალიმის კედლების ხელმეორედ აშენება არის დმერთის მიერ თავისი სამეფოს აღდგენის წინასახე; დმერთის სახლისა და დმერთის სამეფოს აშენება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან – მათე 16:18-19.

ბ. როდესც ქრისტე, როგორც ჩვენი სიცოცხლე, ხდება ჩვენთვის სინამდვილე და ტქბობა, ჩვენ გვიჩნდება ეკლესია, როგორც დმერთის სახლი; თუ ჩვენ უფრო წინ წავალთ და გავაცნობიერებთ მის თავობას, როგორც სინამდვილეს, მაშინ დმერთის სახლი გადიდება და გახდება ქალაქი, დმერთის სამეფო – ეფეს. 1:10, 22-23; 4:15; გამოცხ. 22:1.

გ. ნეემია გვიჩვენებს იმის აუცილებლობას, რომ ჩვენ გვქონდეს სათანადო დაუინებულობა უფლის აღდგენაში დდეს:

1. მოაბელთა და ყამონეგელთა ბელადებისათვის სრულიად მიუდებელი იყო, რომ ნეემია ეძებდა სიკეთეს ისრაელის შვილებისათვის; ლოტის არაწმინდა გადიდების ამ შთამომავლებს სძულდათ და ეზიზდებოდათ ისრაელის შვილები – ნეემ. 2:10, 19; შდრ. ეზეკ. 25:3, 8.
2. იმ საკითხში, რაც შეეხება მოწინააღმდეგების მხრიდან დაცინვას, სიძულვილსა და გაკიცხვას, ნეემია იყო ძალიან სუფთა და დაუინებული, მაგრამ ის არ იყო მშიშარა – ნეემ. 2:17-20; 4:1-23; შდრ. საქმე. 4:29-31; 1 თეს. 2:2; 2 ტიმ. 1:7-8.
3. დაუინებული ადამიანები იღებენ დახმარებას დმერთისაგან; ნეემიას მსგავსად, მოციქულ პავლეს პქონდა კაგშირი დმერთან, და ამ კაგშირში ის გრძნობდა დმერთის მხარდაჭერას – საქმე. 26:21-22.
4. ნეემიას დაუინებულობა, როგორც სათხოება მის ადამიანურ ქცევაში, გვიჩვენებს, რომ ჩვენმა ბუნებრივმა შესაძლებლობებმა, ცოდნამ და სათხოებებმა უნდა გაიარონ ქრისტეს ჯვარი და შევიდნენ აღდგომაში,

- სულში, როგორც სამერთიანი ღმერთის დასრულებაში, რათა სასარგებლო გახდნენ ღმერთისათვის, მისი სახლმშენებლობის ადსრულებაში.
- დ. ნეემია ცხოვრობდა არა თავის ბუნებრივ ადამიანში, არამედ აღდგომაში; ის იყო დაჟინებული, მაგრამ მის დაჟინებულობას თან ახლდა მისი სხვა თვისებები:
1. თავის ურთიერთობებში ღმერთთან მას უყვარდა ღმერთი და ასევე უყვარდა ღმერთის ინტერესები დედამიწაზე, მათ შორის წმიდა მიწა (ქრისტეს აღმნიშვნელი), წმიდა ტაძარი (კალესიის აღმნიშვნელი) და წმიდა ქალაქი (ღმერთის სამეფოს აღმნიშვნელი) – 3 მეფ. 8:48; შდრ. 2 ტიბ. 3:1-5.
 2. როგორც ადამიანი, რომელსაც უყვარს ღმერთი, ნეემია ლოცულობდა ღმერთის წინაშე, რათა შეეხებოდა მას ურთიერთობაში; კედლის ხელმეორედ აშენებისათვის ნეემია იდგა ღმერთის სიტყვაზე და ლოცულობდა მის თანახმად – ნეემ. 1:1-11; 2:4; 4:4-5, 9.
 3. ნეემია დაიმედებული იყო ღმერთზე და გახდა კიდევაც ერთი ღმერთთან; შედეგად ის გახდა ღმერთის წარმომადგენელი – 5:19; შდრ. 2 კორ. 5:20.
 4. თავის ურთიერთობაში ხალხთან ნეემია არ ავლენდა უგოიზმს, სრულიად არ იყო თავის თავსა და თავის ინტერესებზე კონცენტრირებული; ის ყოველთვის მზად იყო, რომ მსხვერპლად მიეტანა, რაც მას ჰქონდა, ხალხისათვის და ქვეყნისათვის – ნეემ. 5:10, 14-19.
- გ. ნეემია – მმართველი, რომელსაც ჰქონდა მეფის მდგომარეობა – იყო ადამიანი სულთა გულით, იერუსალიმის კედლების ხელახლა აშენებისათვის გადაცემული ღმერთის სახლმშენებლობის განხორციელების მიზნით; ის იყო ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ხელმძღვანელი ღმერთის ხალხს შორის – შდრ. 1 ტიბ. 3:2-7; 1 პეტ. 5:1-3:
1. ისრაელისა და იუდას მრავალი მეფისაგან განსხვავებით ის არ იყო ეგოისტი, არ ეძებდა თვის ინტერესებს და არ იყო აყოლილი გულისთქმებს.
 2. როგორც მხედართმთავარი, ნეემია იმყოფებოდა მათ შორის, ვინც მზად იყო, ებრძოლა მტერთან, და ის მონაწილეობას იღებდა დამის გუშაგობაში; ის არ გადასცემდა ამ ვალდებულებებს სხვებს, არამედ თვითონ იღებდა მონაწილეობას მათ შესრულებაში – ნეემ. 4:9-23.
 3. ის და მისი მები თორმეტი წელი არ ჰამდნენ საჭმელს, მმართველისათვის განკუთვნილს, ღმერთის წინაშე შიშის გამო – 5:14-15.
 4. ის მთელ თავის ძალისხმევას იყენებდა ქალაქის კედელზე სამუშაოში, და არ იღებდა ამისათვის არავითარ საფასურს; ის არ იყო თავის თავზე კონცენტრირებული, პირიქით, ის კვებავდა ადამიანებს, კედლის აშენების მიზნით – მუხ. 16-18.
- გ. მიუხედავად იმისა, რომ ნეემია იყო მმართველი, ის იყო პატივმოყვარეობას მოკლებული; ეს ჩანს იმ ფაქტიდან, რომ ხალხის ხელახლა შედგენის საქმეში მან აღიარა, რომ სკირდებოდა ეზრა, ღმერთის ხალხის ღმერთის სიტყვით ხელახლა შედგენის საკითხში – 8:1-10; ფილიპ. 2:3-4.
- დ. ნეემია იყო სრულყოფილი ხელმძღვანელი, საუკეთესო ხელმძღვანელი ადამიანურ ისტორიაში და საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა იყოს უხუცესი; ჩვენ, და განსაკუთრებით წამყვანმა მმებმა ეკლესიებში, ეჭვგარეშეა, უნდა მივაქციოთ უურადღება მათ მიერ ნაჩვენებ მაგალითს, რათა ვიყოთ ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა მოვიპოვოთ ღმერთი და როგორ გადმოვდგაროთ ჩვენგან ღმერთი სხვა ადამიანებისათვის, რათა შევცვალოთ საუკუნე – ნეემ. 5:19; 13:14.